სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 8 სექტემბერი 2006 №207 (2829) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო სიმპათიური გუნდია

ოღონდ — ვინ იტყვის, რომ ის ლანდია:

კალათბურთი მეთევზეებმაც ისწავლეს

გუშინ დოლოენგა ბეგელის ფოტო

ავსტრიამოვლილი საქართველოს საკალათბურთო ნაკრები თბილისში გუშინ დაბრუნდა და დღეიდანვე ახალი ბრძოლისთვის ემზადება. გორდონ ჰერბერტის გუნდმა ამ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჯერ ლუქსემბურგი დაამარცხა, მერე კი ავსტრიულ ობერვარტში ბეწვის ხიდზე გაიარა, თუმც საბოლოოდ მაინც მოიპოვა 2 ქულა.

ხვალ ქართველები სპორტის სასახლეში ისლანდიას ეთამაშებიან, რომელიც სახუმარო გუნდი რომ არაა, ფინეთთან გუშინწინდელ მატჩშიც გამოჩნდა. ისლანდიელები მთელი თამაში უგებდნენ სუომის, ისევე, როგორც ავსტრია საქართველოს, მაგრამ გამარჯვება ბოლო წუთებზე დაკარგეს.

ჰერბერტი დღეს სასტუმრო „სიმპათიაში" ისლანდიელებთან მატჩისწინა პრესკონფერენციას გამართავს. იქვე დაბანაკებული ქართველთა ნაკრებიც, რომელიც ისლანდიასთან საბრძოლველად კი ემზადება, მაგრამ მისი ფიქრები მაინც ფინეთისკენაა მიმართული.

ცხადაძეს განაჩენი გამოუცხადეს



გადრე ჯეთილაძის ფოტო

სეზონის ბოლო სლემტურნირმა, ამერიკის ღია პირველობამ, ფინიშისკენ ისე გაივაკა, მის მშვიდ მდინარებას ქარიშხალი „ერნესტო" თუ არღვევდა — წვიმის გამო ერთბაშად სამი სათამაშო დღე ჩაიშალა, მაგრამ ფავორიტები უამინდობის მიუხედავად მაინც წინ მიიწევდნენ.

ამ ნესტიან იდილიას ჩვენი დროით ხუთშაბათის გამთენიისას მოეღო ბოლო და ნახევარფინალის ზღუდესთან რაფაელ ნადალი დაეცა. არადა, მთელი საჩოგბურთო სამყარო ნადალისა და როჯერ ფედერერის ზედიზედ მესამე სლემფინალის მოლოდინში იყო, მაგრამ რუსმა მიხაილ იუჟნიმ სხვანაირად ინება და ზედიზედ მესამე განთესილი ესპანელი დაითხოვა ნიუ იორკიდან: დავიდ ფერერისა და ტომი რობრედოს მძლეველმა იუჟნიმ ნადალიც უშანსოდ დატოვა და ოთხ სეტში აუგო ანდერძი — 6:3 5:7 7:6 6:1.

მიხაილოვის საავადმყოფო ესპანელებისთვის

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

იყო და მაინც არა იყო რა...

არადა: საქართველოს ნაკრებს კლა(უ)სი დაეტყო

უკრაინასთან წაგებული მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების გასახდელთან რამდენიმე ასეული იქაური ქომაგი შეიკრიბა და ჩვენს ეროვნულ გუნდს ნახევარი საათი ტაშს უკრავდა...

სტადიონიდან ავტობუსი დაიძრა და ამ ქომაგთა ყიჟინა კიდევ უფრო ხმოვანი გახდა, უკრაინელები ქართველებს ლამის აეროპორტამდე გაჰყვნენ — ასე გააცილეს გუშინწინ „ოლიმპიისკიზე" წაგებული გუნდი.

დამეთანხმებით, ძალიან, ძალიან იშვიათად, მასპინძელი სტუმრის თამაშით ისეთი კმაყოფილი დარჩეს, ნამატჩევს სტადიონის მისადგომებიდან ფეხი არ მოიცვალოს და მეტოქისადმი სიმპათია ამგვარად გამოხატოს... ზოგი, უფრო სწორად, სტადიონზე შეკრებილ უკრაინელთა უმეტესობა, ამასაც იტყვის — დღეს საქართველოს უნდა მოეგო, ქართველებმა ეს დაიმსახურეს. მატჩის დამთავრებისთანავე კი ადგილობრივმა დიქტორმა გაბზარული ხმით ტრიბუნას ახარა — ღვთის წყალობით, მოვიგეთ! უფრო მოგვიანებით ჩვენი კოლეგები ასე იტყვიან — ეს იყო ზღაპარი, რომელიც ყოველთვის არ აგიხდება.

***

თბილისში დაბრუნებულს ასეთი საერთო აზრი დამხვდა: საქართველოს ნაკრების ასეთი კარგი თამაში ბოლოს როდის ვნახე, არ მახსოვს... მსაჯსაც რომ ცოტა ნამუსიანად ემსაჯა...

ვისმენ ამგვარ მოსაზრებებს და გეთანხმებით: თავადაც გულჩაწყვეტილი ვარ და მიმაჩნია, რომ გუშინწინდელი მატჩი კიევში ჩვენს ნაკრებს უნდა მოეგო. რა და როგორ იყო ტელევიზიით, ალბათ, ყველამ ნახა და ახლა აღარ მოვყვები იმას, ვინ რომელ წუთზე გაიტანა, ან როგორი ნაღდი მომენტები გაუცუდდა ჩვენს გუნდს, თორემ უკრაინელებმა რაც შექმნეს, ყველა გაიტანეს.

ერთიც: შევთანხმდეთ იმაზე, რომ საქართველოს ნაკრებს ჰყავს ძალიან მაღალკვალიფიციური მწვრთნელი და ჩვენ მისი იმედი უნდა გვქონდეს.

***

ტოპმიოლერმა, რომელსაც ყველა შეტევის მოყვარულ მწვრთნელად იცნობს, ფრანგებთან მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად ტაქტიკა-შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეცვალა, თუმცა ერთ ფეხბურთელში, ისევე, როგორც ფრანგებთან, ვფიქრობთ, კიევშიც შეცდა. თანაც ეს შეცდომა გოლის ფასი გამოდგა: საქართველოს ნაკრების მარცხენა ფლანგი შეტევისას თუ საუკეთესო იყო, დაცვაში აშკარად ყველაზე სუსტი ჩანდა — უკრაინელთა პირველ, შევჩენკოს გოლამდე მასპინძელთა თითქმის ყველა შეტევა სწორედ მარჯვენა ფლანგიდან იწყებოდა. იქით მხარეს მყოფი მცველი დავით იმედაშვილი თავიდანვე შესაცვლელი იყო, მაგრამ ტოპმიოლერმა ის მხოლოდ გაშვებული გოლის შემდეგ შეცვალა. ვერ გეტყვით, მწვრთნელმა შევჩენკოს გოლისას ვისი შეცდომა დაინახა, ფაქტი კია, გოლისთანავე მან ილია კანდელაკს უხმო და წუთშივე იმედაშვილი შეცვალა. ასევე იყო საფრანგეთთან მატჩის დროსაც — ტოპმიოლერს პირველი შეცვლა პირველსავე ტაიმში დასჭირდა და მაშინაც ფლანგელი მცველი შეცვალა. ამას გარდა კი, ისიც ცხადია, რომ კლაუს ტოპმიოლერის ყველა შეცვლა, თბილისშიც და კიევშიც, ზედმიწევნით ზუსტი და ეფექტური იყო. მოედანზე კანდელაკის შესვლის შემდეგ მარჯვენიდან უკრაინელებს, ფაქტობრივად, აღარ შეუტევიათ. ხოლო მუჯირმა და აშვეთიამ მოგვიანებით მნიშვნელოვნად გაააქტიურეს ჩვენების წინ თამაში. და რაკი თავდასხმაზე ვთქვით, აუცილებლად უნდა ვახსენოთ, რომ შოთა არველაძემ თბილისშიც და, მით უმეტეს, კიევშიც, მართლაც ისე ითამაშა, როგორც გროსმაისტერს ეკადრება და ძნელია იმის წარმოდგენა, მისი არყოფნისას საქართველოს ნაკრების თავდასხმა მომავალში ისეთივე უნარიანი თუ იქნება, როგორიც კიევში იყო.

***

მალხაზ ასათიანის თამაში კი ცალკე სალაპარაკო თემაა. დაცვის ცენტრში კედელივით ჩამდგარიყო და სწორედ მისი გონივრული და წინასწარ განსაზღვრული ნაბიჯების წყალობით იყო ის, რომ უკრაინელთა შეტევები ზედ ასათიანის ფეხებთან მთავრდებოდა ხოლმე. მალხაზს თავადაც ათასჯერ უთქვამს, რომ ამპლუით ცენტრალური ნახევარმცველია, მაგრამ ბოლო დროს რამდენჯერმე დავრწმუნდით — დაცვის ცენტრშიც „პროფესორივით" თამაშობს. საჭიროებისას კი შეტევაში თამამად ერთვება და უმწვავეს პასებს არიგებს. ერთი ასეთი კიევშიც გააკეთა, მაგრამ პარტნიორები ველარ აჰყვნენ.

***

უკვე თვალსაჩინოა, რომ საქართველოს ნაკრებმა იცის, რას და როგორ თამაშობს. იცის, ტემპი როდის დააგდოს და როდის აუჩქაროს.

ისევ საფრანგეთს მივუბრუნდეთ და ერთხელაც ვიტყვი, მჯერა, ჩვენებს საწყის 16 წუთში ის ორი გოლი რომ არ მიეღოთ, ტოპმიოლერის საქართველო გაცილებით უკეთ ითამაშებდა, ვიდრე ვნახეთ. კიევში ქართველებმა თამაში თითქოს დაცვიდან დაიწყეს, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ უფრო მეტს და უფრო მწვავედ ჩვენები უტევდნენ. ქართველები შეტევას კონტრშეტევით იწყებდნენ და ბურთის სწრაფი გათამაშებისა და სწორი მოძრაობის წყალობით მეტოქის კართან ხშირ შემთხვევაში უპრობლემოდ აღწევდნენ. ყოველი კონტრშეტევის შემდეგ ჩვენები შეტევაშივე რჩებოდნენ და უკრაინელებს მათსავე ნახევარზე მათივე ხერხით — პრესინგით ატოვებინებდნენ ბურთს. ასეთი იერიშებისას ცენტრის ხაზთან ორი მცველი რჩებოდა, დანარჩენები კი უტევდნენ. ესეც ტოპმიოლერის შემტევი ფეხბურთი, რომელსაც ჯერჯერობით დადებითი შედეგი არ მოაქვს, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ მალე უნდა მოიტანოს. აკი თავად მწვრთნელიც ამბობს, მატჩიდან მატჩამდე საქართველოს ნაკრებს პროგრესი ეტყობა და როცა ყველა ძლიერი ფეხბურთელი მეყოლება, ჩვენი თამაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებაო.

ნამატჩევ პრესკონფერენციაზე კი კლაუს ტოპმიოლერმა უკრაინელ ჟურნალისტებთან მოურიდებლად და პირდაპირ ასეთი რამ თქვა: „დღეს რომ კახა კალაძეს ეთამაშა, დარწმუნებული ვარ, მოვიგებდით!"

***

სხვათა შორის, კლაუს ტოპმიოლერმა პრესკონფერენციაზე, რომელიც ჩარტერული ცაიტნოტის გამო გუშინდელ „სარბიელში" ბოლომდე ვერ მოგაწოდეთ, ერთი ძალიან საინტერესო რამ თქვა და არა მაქვს უფლება, არ დავეთანხმო:

„არბიტრმა ყველა სადავო ეპიზოდისას გადაწყვეტილება უკრაინელთა სასარგებლოდ მიიღო. მესმის, რომ ზოგადად მსაჯები მასპინძლებს ანგარიშს უწევენ ხოლმე, მაგრამ არ შეიძლება, ათიდან ათი სადავო ჯარიმა მასპინძელთა სასარგებლოდ დანიშნო".

უკრაინელთა მეორე გოლიც, რომელიც თურმე ქართველ ტელემაყურებელს ხეირიანად არც უნახავს, ტოპმიოლერის სიტყვების დასტურად გამოდგება: უკრაინელთა შეტევა მარცხენა ფლანგიდან ვითარდებოდა, როცა ჩვენებმა ნესმაჩნის ბურთი დაატოვებინეს, უკრაინელი ქართველ მცველს ეუხეშა, მაგრამ მსაჯმა დარღვევას წაუყრუა, იქვე კი ალბათ ჩვენიანმაც დაარღვია წესი და მაშინვე ჯარიმა დანიშნა. შევჩენკომ სადღაც აუტის ხაზიდან საჯარიმოში ჩააწოდა და... ასე გახდა 2:2. არადა, კიევში მყოფი ქართველობა ერთხმად ვამბობდით, დაწინაურების შემდეგ საქართველოს ნაკრებს ანგარიში სამი-ოთხი წუთი მაინც რომ შეენარჩუნებინა, შინ მოგებული დაბრუნდებოდა, რასაც იმსახურებდა კიდეცო.

***

ზოგადად, ეპილოგის სახით, საფრანგეთთან და, მით უმეტეს, უკრაინასთან მატჩის შემდეგ შთაბეჭდილება იქმნება, რომ ტოპმიოლერი ჯერ კიდევ არ იცნობს შეგირდებს. ის კარგად იცნობს არველაძეს, კალაძეს, კობიაშვილს, დემეტრაძეს, იაშვილსა და სხვებს, მაგრამ ჩანს, რომ ბოლომდე არ იცის სხვათა შესაძლებლობები. სხვა შემთხვევაში, ზედიზედ ორ მატჩში თითქმის ერთსადაიმავე დროს შეცვლებს არ გააკეთებდა. თანაც კიდევ ერთხელ დაუკვირდით — ტოპმიოლერმა ორჯერვე ფლანგელი მცველები შეცვალა.

ახლა კი, ვფიქრობ, ქომაგის სათქმელს ვიტყვი, იმას, რაც კიევშიც რამდენჯერმე გავიგე: ალბათ უკეთესი იქნება, კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ხშირად დაესწროს და არა ერთი-ორჯერ. იქნებ სადმე, სოფელშიც კი ნახოს თავისთვის გამოსადეგი ფეხბურთელი..

ერთხელ ძალიან გამიკვირდა, როცა საქართველოს ნაკრების წინა მწვრთნელი, არ ვგულისხმობ გაიოზ დარსაძეს, ალენ ჟირესი ქუთაისის სტადიონზე მანქანით მარტო ჩამოსული ვნახე. ვკითხე, თანხმლები ვინ გყავს-მეთქი და მიპასუხა, დაჯექი, თბილისში ერთად წავიდეთ, გზები უკვე კარგად ვიციო. სამწუხაროდ, კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ჩემპიონატის არც ერთ მატჩზე არ მინახავს. მისი კიდევ ერთი პრობლემა კი ალბათ ესეცაა — ამხანაგური მატჩების ნაკლებობა, სადაც შესაძლო იყო, უცნობი ფეხბურთელები გამოეცადა. ეს კი ფეხბურთის ფედერაციას უნდა მოეგვარებინა. შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე მწვრთნელმა საუკეთესო ქართველების ერთად შეკრება ხომ სულ ერთხელ მოახერხა ავსტრიულ-გერმანული შეკრებისას და ისიც მაშინ, როცა სეზონი დამთავრებული იყო და ფეხბურთელებს დასვენებამდე ერთი სული ჰქონდათ.

***

ახლაც საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი კიევში დარჩა და მერე შინ გაემგზავრებოდა. ამ უქმეებზე კი საქართველოს ჩემპიონატშიც არის ერთი-ორი კარგი თამაში. ვფიქრობ, ჩვენთანაც თამაშობს რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, ვისი გამოცდაც ნაკრებში ნამდვილად უნდა ღირდეს...

ბონა ინასარიძე

კიევი — თბილისი

საფრანგეთი

II დივიზიონი. VII ტური

კაენი 0:0 მეცი

შვედეთი

სუპერეტა

გადადებული მატჩი

ტრელებორგი 2:1 სუნდსვალი

არის თამაშები, რომლებიც დიდ სინანულს გიტოვებს გულში, მარტივად რომ ვთქვათ, საფეხბურთო ფორტუნა გწირავს. ასეთი იყო გუშინწინდელი უკრაინა — საქართველო, ულმობელი და უსამართლო. რეალურად კი, კლაუს ტოპმიოლერის გუნდმა ეს მატჩი წააგო, ტაბლოზე მასპინძელთა სასარგებლო 3:2 ანათებდა... აი, რა თქვეს ოლეგ ბლოხინმა და კლაუს ტოპმიოლერმა კიევურ მატჩზე...

ოლეგ ბლოხინი: გამოდის, ქართველებს ფეხბურთელებს ვუმზადებთ?!

ეს ვაფასებ, მე გუნდის შეფასება შემიძლია. პირველ ტაიმში დაცვიდან შეტევაში გადასვლას ვერ ვახერხებდით, ასევე ბევრი წუნი იყო პასებისას. და კიდევ, ასეთ მინდორზე შორიდან რომ არ დაარტყამ, დიდი შეცდომაა. სხვა მხრივ კი, მოხარული ვარ, რომ სტანდარტული მდგომარეობებიდან გავიტანეთ. ამას ვარჯიშებზე ვამუშავებთ. თუმცა, ვიმეორებ, პრობლემები საკმაოდ გვაქვს.

— სამივე გოლი თავით — ეს ნორმალურად მიგაჩნიათ?

— ვერ გავიგე, საით უმიზნებთ. რა მნიშვნელობა აქვს, როგორ გაიტან? მარადონას ხელითაც გაუტანია... მთავარია, ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთოს და...

— საქართველო რომ 2:1 დაწინაურდა, რა გაიფიქრეთ? მოასწარით გააზრება, რა უნდა გაგეკეთებინათ დარჩენილ დროში?

— ამ კითხვას ტაბლომ უპასუხა.

— და მაინც, რა გაიფიქრეთ?

— ვეცადე, გამეკეთებინა შეცვლები, რათა შეტევა გამეძლიერებინა.

— იმ დროს მშვიდად იყავით?

— უცნაური კითხვაა. რომელი მწვრთნელი იქნება მშვიდად, როცა მისი გუნდი აგებს?!

— როდის დავამსხვრევთ ვალერი ლობანოვსკის ტაქტიკას და ვითამაშებთ შემტევი სქემით?

— ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: ლობანოვსკის ნუ მადარებთ. ასეც არ იყოს, დღეს დაცვიდან არ გვითამაშია და, მოდით, უკრაინული ფეხბურთის მეტრს პატივი მივაგოთ და დავივიწყოთ შედარებები. როცა მოთამაშეთა კონტინგენტი მომცემს საშუალებას, მაშინ დავიწყებ სქემების ვარირებას. არც ერთი მწვრთნელი არ შეცვლის იმ სქემას, რომელსაც წარმატება მოაქვს.

— გუსინის შეცვლა იძულებითი იყო?

— მან ტრავმა მიიღო.

— რამდენად სერიოზული?

— ჯერ არ ვიცი, ექიმებს არ შევხვედრივარ. ისე, ვერ დავინახე, როდის მიიღო გუსინმა ტრავმა.

— არ გაგიკვირდათ, რომ საქართველოს ნაკრებმა სამი ფორვარდით ითამაშა?

— ასე არც იყო. მათ წინ ჰყავდათ არველაძე და დემეტრაძე, შუა ხაზი კი კვირკველიათი გააძლიერეს. ფრანგებთან მატჩისგან განსხვავებით, ქართველებს შემტევი მუჯირის ნაცვლად უფრო დაცვითი სტილის ნახევარმცველი მენთეშაშვილი ჰყავდათ. სად დაინახეთ სამი თავდამსხმელი? პირიქით, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საქართველომ გააანალიზა ფრანგებთან დაშვებული შეცდომები და მიხვდა, რომ სამი ფორვარდით თამაში ძნელია. თუ დააკვირდით, როგორც კი ფლანგებიდან დაწოლას ვაძლიერებდით, სტუმართა კართან დაძაბულობა იწყებოდა. მთლიანობაში კი, ჩვენ ვერ ვდომინირებდით მინდვრის ცენტრში და ქართველთა დაცვას ბევრიც ვერაფერი მოვუხერხეთ.

— მატჩამდეც ვთქვი, რომ ნებისმიერი ტურნირის პირველი თამაში ძალიან ძნელი და ნერვიულია. ასეც მოხდა. ვფიქრობ, გულშემატკივრებმა კარგი ფეხბურთი იხილეს, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში, როცა შეტევას შეტევა ცვლიდა. უკრაინა და საქართველო, ალბათ, ერთნაირად იმსახურებდნენ გამარჯვებას. როგორც ვივარაუდე, ჩემი გუნდი მუნდიალის შემდეგ ფსიქოლოგიურად მდგრადი გახდა, სწორედ ამის მეშვეობით მოვუგეთ ქართველებს. მადლობა ბიჭებს, რომ ასეთ მძიმე მინდორზე სანახაობრივი ფეხბურთის ჩვენება შეძლეს. საქართველოს ნაკრებმა თავისი ძალა დაგვანახა. სხვათა გარდა, მათ ჰყავთ უკრაინის ჩემპიონატში მოთამაშე ლეგიონერები და რა გამოდის: სხვა ქვეყნებისთვის ვამზადებთ ფეხბურთელებს?!

რაც უნდა იყოს, თამაში დამთავრებულია, რჩება მხოლოდ შედეგი. ჩვენ წარმატებით დავიწყეთ ციკლი და იტალიასთან გასვლითი მატჩისთვის კარგი განწყობით მოვემზადებით. პრობლემები გვაქვს, განსაკუთრებით დაცვაში, სადაც შემსრულებლები აშკარად არ გვყოფნის.

— ტკაჩენკოს თამაშს როგორ შეაფასებთ?

— ერთი ფეხბურთელის თამაშს არასოდ-

კლაუს ტოპმიოლერი: ჩვენ უნდა ვისწავლოთ შეცდომებზე

— შევეცადეთ, ფრანგებთან დაშვებული შეცდომები არ გაგვემეორებინა, თუმცა გარკვეულწილად იგივე მაინც განმეორდა. მთლიანობაში, ვფიქრობ, ჩემმა გუნდმა დღეს კარგად ითამაშა. ვამბობდი, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში უკრაინის ნაკრებს გულდასმით ვაკვირდებოდი და მიმაჩნია, მათ წინაალმდეგ არჩეულმა ტაქტიკამ გაამართლა. მაგრამ, რას იზამ, სამწუხაროდ, წააგო გუნდმა, რომელიც უკეთ თამაშობდა...

...მიუხედავად უკრაინის ნაკრების მაღალკვალიფიციური ფეხბურთელებისა, კომბინაციებით ვერც ერთი გოლი ვერ გაგვიტანეს, რასაც ჩვეულებრივ აკეთებენ ხოლმე მაღალი კლასის გუნდები. ვფიქრობ, პერსონალურად ოდნავ მეტი წარმატებით რომ გვეთამაშა, შედეგი სხვა იქნებოდა. ასევე დარწმუნებული ვარ, კალაძე რომ ყოფილიყო, სამ გოლს არ გავუშვებდით. ჩვენ გავაგრძელებთ შეცდომებზე სწავლას, გამოცდილებას შევიძენთ. თამაშის მანერამ და აქტიურობამ დამაკმაყოფილა, ბევრს ვკომბინირებდით, მეორე ტაიმში შეცვლებით შეტევების გაძლიერება ვცადეთ და სამი ურეალურესი შანსი გვქონდა. სამართლიან ბრძოლაში წავაგეთ და უკრაინას გამარჯვებას ვულოცავ.

— არ მოგეჩვენათ, რომ დაცვაში სათანადო დონეზე მხოლოდ ასათიანმა ითამაშა, დანარჩენები კი უამრავ შეცდომებს უშვებდნენ?

— ასეთივე პრობლემები გვქონდა საფრანგეთთანაც და ამის ახსნა ადვილია: ტრავმირებულები არიან წამყვანი ფეხბურთელები, რის გამოც ოპტიმალური შემადგენლობა ვერ დავაყენეთ. საქართველოსთანა პატარა ქვეყანაში კალაძის სრულფასოვნად შეცვლა ძნელია, მით უმეტეს, ასეთ მცირე ხანში.

— ოთხ დღეში საფრანგეთსაც ეთამაშეთ და უკრაინასაც. შეგიძლიათ, ამ მატჩების მიხედვით, ოლეგ ბლოხინის გუნდის პერსპექტივები შეაფასოთ ევროშესარჩევ ჯგუფში?

— თავიდანვე ნათელი იყო ჯგუფის სამი ფავორიტი: იტალია, საფრანგეთი და უკრაინა. პერსპექტივებზე კი ჯერ ნუ მალაპარაკებთ, რადგან, ვიმეორებ, უკრაინასთან მოსაგები თამაში გვქონდა და უნდა მოგვეგო კიდეც. ვფიქრობ, ჯგუფში პირველ ადგილს საფრანგეთი დაიკავებს, უკრაინა და იტალია კი მეორე-მესამესთვის იბრძოლებენ.

— ჭანტურიას თამაშმა უარყოფითად იმოქმედა თქვენი ნაკრების შედეგებზე?

— საქმე ჭანტურიაში კი არა, შუა ხაზშია. მაგალითად, მესამე გოლისას ჯაბა კანკავა შეცდა, თუმცა აქ თავისი როლი ითამაშა უკრაინელი ფეხბურთელის სიმაღლემაც. ჭანტურიას მიმართ კი სასაყვედურო არ მაქვს.

— შეძლებთ, საქართველოს ნაკრებს გერმანული ორგანიზებულობა და სტაბილურობა შემატოთ?

— ვფიქრობ, კი. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდი საქართველოს ნაკრებს და ამის ფონზე დარწმუნებით ვიტყვი, რომ დღეს საქართველოს ნაკრები კარგად თამაშობს. გარდა ამისა, ჩვენ უკრაინასთან უმეტესად გამოვასწორეთ ფრანგებთან დაშვებული შეცდომები. ზედმიწევნით გავშიფრეთ უკრაინელთა თამაში მსოფლიოს ჩემპიონატის მიხედვით, თუმცა ჩვენმა მეტოქემ მაღალი კლასი აჩვენა. რაც საქართველოს არ ჰყოფნის, ეს ფიზიკური მომზადებაა — როცა მეტოქე სწრაფად გიტევს, უნდა დაუდგე და შეაჩერო, რაც, სამწუხაროდ, კიევში პრობლემად გაგვიხდა. აი, ფრანგებთან კი ამ მხრივ უკეთესად გამოვიყურებოდით.

— ორი წაგების მიუხედავად, საქართველოს ნაკრების ამოცანა კვლავ ჯგუფიდან გასვლაა?

— როცა ნაკრები ჩავიბარე, რეიტინგში 106-ე ადგილზე იყო. ამ დროს ცოტა უტოპიურია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლისა გეიმედებოდეს. ვფიქრობ, კიევში 2:3 წაგება იმ გუნდთან, რომელიც მსოფლიო ათეულშია, უკმაყოფილობის საბაბს არ იძლევა.

ცხადაძე მწვრთნელი აღარაა

ასეა: კახა ცხადაძეს 2007 წლის 31 მაისამდე მწვრთნელობა აეკრძალა. ასეთია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის (სტკ) დადგენილება. კერძოდ: „ეროვნული ჩემპიონატის მატჩების დროს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, მსაჯებისა და ფეხბურთის ფედერაციის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის (რაზეც ცხადაძე ადრეც იყო გაფრთხილებული და დაჯარიმებული) და ხულიგნური საქციელისთვის კახა ცხადაძეს გაის 31 მაისამდე მწვრთნელად მუშაობა აეკრძალა როგორც „სიონში", ასევე ნებისმიერ სხვა გუნდში!"

ვერაფერს იტყვი, სტკ ასეთი პრინციპული, ალბათ, არასოდეს ყოფილა...

გარდა ამისა, დაჯარიმდა ბოლნისური კლუბიც: „სიონი" — „ოლიმპის" მატჩის მსაჯებისა და დამკვირვებლის მოხსენებითი ბარათების თანახმად, გულშემატკივრების მხრიდან ადგილი ჰქონდა ქვების სროლას (მსგავსი დანაშაული ბოლნისელ ქომაგებს ადრეც ჩაუდენიათ როგორც საშინაო, ასევე სხვა სტადიონზე), რის გამოც კლუბი 500 ლარით დაჯარიმდა. „სიონის" თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონს 2006 წლის 31 დეკემბრამდე პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცა.

ცხადაძის ამბავს მივუბრუნდეთ: მას მწვრთნელად მუშაობა აეკრძალა, თორემ ნებისმიერ გუნდში მენეჯერად, ადმინისტრატორად თუ სხვა თანამდებობაზე მუშაობა შეუძლია.



ცხადაძის არყოფნაში „სიონის" მთავარი მწვრთნელი გიორგი ყიფშიძე იქნება. როგორც ბოლნისური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, გამორიცხული არაა, ცხადაძემ „სიონში" ადმინისტრაციულ სამუშაოზე გადაინაცვლოს.

ჭიპაშვილისვე თქმით, გუნდში სიტუაცია არ არეულა, შემადგენლობაც უცვლელია და მიზნებიც იგივე.

ილია ნანობაშვილი

ბორჯომმა არგენტინელები დაიხვავა

გუშინ „ბორჯომს" შვიდმა არგენტინელმა ფეხბურთელმა ჩააკითხა.

ლეანდრო ავერსა, ნახევარმცველი: „ნიუელზ ოლდ ბოიზსა" და „ველეს სარსფილდში" არცთუ წარმატებით უთამაშია, მაგრამ ეს გუნდები არგენტინაში იმდენად პოპულარულები არიან, რომ იქ მოხვედრაც კი უკვე მიღწევაა.

ფედერიკო კასტელო, თავდამსხმელი: სამი წელი „ჩაკარიტაში" თამაშობდა.

გონსალო მარტინესი, მცველი: მასზე ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

კარლოს გონსალო ნინი, ნახევარმცველი: წინა სეზონში არგენტინულ „ლანუსში" ირიცხებოდა.

დამიან ფრანკი, თავდამსხმელი: არგენტინულ „რასინგში" სამი სეზონი ირიცხებოდა, უმეტესად მეორე გუნდში თამაშობდა.

სებასტიან ვიმარი, თავდამსხმელი: 4 წლის წინ „არგენტინოს ხუნიორსში" იყო, წინა სეზონი კი, როგორც შევიტყვეთ, იტალიურ „პოტენცაში" გაუტარებია...

გასტონ კასტრო, მეკარე: 27 წლის. ბოლოს არგენტინულ „ალმაგროში" ირიცხებოდა.

შიში არა, დაფასება

რატომ გააძევეს ლევან ყენია?

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროშესარჩევისთვის ემზადება და უკვე მეორე ტურნირი მოილია — საბერძნეთიდან მეორე ადგილით დაბრუნდა. მეორე ადგილი დაიკავეს ქართველებმა პალანგის საერთაშორისო ტურნირშიც. 17-წლამდელთა თავკაც ჰერბერტ ცანკერს ფეხბურთის ფედერაციაში შევხვდით...

— როგორ შეაფასებდით საბერძნეთში ჩატარებულ ტურნირს?

— პირველი თამაში საბერძნეთის რეგიონულ ნაკრებთან გავმართეთ და გარკვეული სირთულეების მიუხედავად, მოვიგეთ. ამ გუნდზე გვითხრეს, 17-წლამდელთა ნაკრებიაო, მაგრამ სინამდვილეში 19 წლის ფეხბურთელები ჰყავდათ. მერე მალტის 17-წლამდელთა ნაკრებს შევხვდით. პრობლემა მხოლოდ ის იყო, რომ ლევან ყენიამ წითელი ბარათი მიიღო და მართალი გითხრათ, ვერავინ მიხვდა, რატომ: გვერდითმა მსაჯმა ალამი ასწია, არბიტრმა მასთან მიირბინა, მერე ლევანთან მივიდა და წითელი აჩვენა. მიუხედავად ამისა გუნდი არ გატყდა და ათი კაცით 3:2 მოვიგეთ.

— ბოლო ტურში ბერძენ თანატოლებთან მოგება შეგეძლოთ?

— მსაჯთა შეცდომებზე განგებ არაფერს ვიტყვი. პირველ ტაიმში უპირატესობა ჩვენი იყო, მეორე ტაიმით კი უკმაყოფილო ვარ. ერთი შეცდომა დავუშვით, რაც გოლად დაგვიჯდა. დისკვალიფიცირებული ყენიას არყოფნა დიდი დანაკლისი იყო. ჩემი გუნდის თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ შედეგით ნამდვილად არა — ჩვენი მიზანი სამივე თამაშის მოგება იყო. მიმაჩნია, რომ ძლიერი გუნდი შევქმენით, მაგრამ სექტემბერში კიდევ ერთხელ ვაპირებთ ახალ მოთამაშეთა შერჩევას. გვინდა, შანსი ყველამ მიიღოს.

— ვინმეს თუ გამოარჩევთ ჩვენი ნაკრებიდან?

— ყველა საუკეთესოა, სახელები კი არა, გუნდია კარგი. ვცდილობ, შეკრული გუნდი შევქმნა და ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ.

— მანამდე პალანგის ტურნირზეც მეორე ადგილი დაიკავეთ, რაც ალბათ არ უნდა იყოს ცუდი შედეგი...

— რას ნიშნავს ცუდი შედეგი არ უნდა იყოს?! ეს ცუდი შედეგია. მე მოგება მსურდა და წავაგე. არსებობს ვინმე, ვინც სიამოვნებით აგებს? პალანგა ჩემთვის იმით იყო საინტერესო, რომ მინდოდა დამენახა, შეძლებდა თუ არა გუნდი შეკრულ და დალაგებულ თამაშს. მათ ძალიან კარგად გაართვეს თავი ჯგუფურ ეტაპსპირველი ორი მატჩი მოვიგეთ, მესამე ტურში კი თავს პატარა ექსპერიმენტების უფლება მივეცით, რამდენიმე მოთამაშე დავასვენეთ, პოზიციები გადავანაცვლეთ და 1:4 წავაგეთ. სამწუხარო იყო, მაგრამ ესეც საჭიროა, ბიჭებმა წაგებაც უნდა იცოდნენ და მეტოქის დაფასებაც, ოღონდ არა შიში, მხოლოდ დაფასება.

— პალანგის ტურნირის ფინალი რუსეთთან წააგეთ, რომელიც შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეა...

— წავაგეთ, მაგრამ ეს გულისგატეხვის საბაბს არ გვაძლევს. მათ სამ თამაშს დავესწარი, ფირებსაც ვაანალიზებთ. ვაღიარებ, რომ ძლიერი გუნდი ჰყავთ, ევროპის ჩემპიონებიც კი გახდნენ, მაგრამ ჩვენ ცდას არ დავაკლებთ. შინ ვითამაშებთ და მაყურებლის მხარდაჭერაც უდიდეს ძალას შეგვმატებს.

— ევროშესარჩევი ტურნირი ოქტომბერში იწყება და მანამდე კიდევ ითამაშებთ ამხანაგურ მატჩებს?

— 26 სექტემბერს ვიკრიბებით და ვფიქრობ, სამ ამხანაგურ მატჩს გავმართავთ. აქედან ორს ალბათ თურქეთის წინააღმდეგ — შინ და სტუმრად. მესამე კი ჯერ არ გადაგვიწყვეტია. აზერბაიჯანის, სომხეთის და უკრაინის ვარიანტები გვაქვს.

ნინო სილაგაძე

geo_geo_fan@hotmail.com

თამაში ხეირიანად დასრულებული არ იყო, ეს სამი წერილი რომ მივიღეთ. კარგი, ემოციური წერილებია. ზუსტად გადმოგვცემს იმ განწყობას, ალბათ, მთელ საქართველოს რომ ჰქონდა იმ საღამოს...

ოხ, ეს ტაბლო...

MEZVRO: *სანამ ემოცია დამცხრალა მანამდე მოვიწერები ამ წერილს. გული სიბრაზისგან გახეთქვაზე მაქვს — ისევ წავაგეთ, მაგრამ ეს ბრაზი არა ნაკრების თამაშმა, არამედ ჩვენი გუნდის უიღბლობამ გამოიწვია.*

მადლობა ბიჭებს!

ასათიანს რა უნდა „ლოკომოტივში", ღმერთკაცია მოედანზე. ტოპი არსად უნდა გავუშვათ, კაცმა ნაკრები ფერზე მოიყვანა. იქნებ გამართულ თამაშს იღბალიც მოჰყვეს და რაც უმთავრესია — ჯამში ყოველივე ეს ბევრ სამ ქულაში აისახოს.

რაც უნდა უსამართლობა იყოს, თუნდაც კარგ თამაშს და მარცხს, ისევ ცუდი თამაშით მოპოვებული 3 ქულა ჯობია...

ტოპი, თქვენი შრომა ქულებში თუ არ აისახა, სამაგიეროდ, ჩვენი, უბრალო გულშემატკივრის გულები მოიგე. მეამაყება ასეთი გუნდი რომ გყავს, სად ვიყავით აქამდე?!

სად ვიყავით აქამდე? ჩვენ სარბიელელები და თქვენ გულშემატკივრები აქამდე ბევრი წლის განმავლობაში ვიძახდით, რომ ნაკრებს მწვრთნელი სჭირდება. ისინი კი, ვისაც მწვრთნელის დანიშვნა ევალებოდა, ამის საჭიროებას ვერ ხედავდნენ.

GIO81: *ეჰ, მაინც წავაგეთ... არადა, ვიგებდით... რა გახდა ეს სტანდარტულები ამისთანა, რა მოუშორებელი ჭირი გვჭირს, 1994 წლიდან სულ ეს პრობლემა გვაქვს, რითი ვერ ვისწავლეთ სტანდარტულებისგან თავის დაცვა, ამას ხომ დიდი თეორია და დიდი სიბრძნე არ უნდა, უბრალოდ, მეტოქეზე მაღლა ახტი, ახლოს ეთამაშე და მორჩა, შეიძლება ერთ თამაშში ერთხელ დაუშვა ეს შეცდომა, მაგრამ სამჯერ? სამჯერ ერთ თამაშში და მით უმეტეს, სამივე გოლით დამთავრდა, ეს მეტისმეტია.*

წინა წერილშიც გავაკრიტიკე ჭანტურია, კი მაგრამ, როგორ დავიჯერო, რომ ლომაია ან რევიშვილი ისე არიან ამოვარდნილი ფორმიდან რომ, თამაში საერთოდ არ შეუძლიათ?! ლომაია ერთ ან ორ ამ სტანდარტულს ნაღდად აიღებდა, ჭანტურიაზე მსუბუქია და გამოსვლებზეც კარგად თამაშობს. სამივე გოლი იმიტომ გავიდა, რომ მეკარემ გამოსვლაზე არ ითამაშა, თან მცველებმაც გაატარეს და სწორედ ამისთვის არის მეკარე, რომ ხედავს, მცველი ვერ ეწინააღმდეგება გამოსვლებზე უნდა ითამაშო. ისევ მეკარის და დაცვის პრობლემაა. კიდევ, ნახევარდაცვას და თავდასხმას შორის დიდი უფსკრული იყო, არანაირი ნახევარდაცვა არ იყო, ცენტრი საერთოდ დაკარგული გვქონდა. შეტევა ძალიან მომეწონა, საკმარისი მომენტები შევქმენით უკრაინის კართან, ორი გავიტანეთ და სამი ამდენიც უნდა გაგვეტანა, მაგრამ კინაღამ არ ითვლება.

მაინც კარგია, დარწმუნებული ვარ ტოპმიოლერი დაცვაში თამაშს გამოასწორებს, კალაძე, ხიზანეიშვილი და ცქიტიშვილი დაბრუნდებიან, მერე ასათიანიც წინ ითამაშებს და დარწმუნებული ვარ, ამ ჯგუფში ჩვენს სიტყვას ვიტყვით.

გუნდი ორი თამაშით ვერ აშენდება, ამის მაგალითი საბერძნეთის ნაკრებია, რეჰაგელმა პირველი ორი სადებიუტო თამაში წააგო, მაგრამ მერე რაც მოხდა, კარგად ვიცით. შეიძლება ტოპმიოლერს ცოტა გაუჭირდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამას მოახერხებს, ცოტა უნდა ვაცალოთ. აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია.

...უბრალოდ, მეტოქეზე მაღლა ახტი, ახლოს ეთამაშე და მორჩა... ვაი, რომ, არ მორჩა, რაკი ამ წერილის ავტორიც ამბობს, რომ 1994 წლიდან ეს „ახტი, ახლოს ეთამაშე და მორჩა" არ გამოგვდის. რატომ არ გამოგვდის? წარმოდგენა არ მაქვს. იმედია, ნაკრების მთავარ მწვრთნელს აქვს. მომავალი კი, რა თქმა უნდა, ჩვენია.

ბოლო წერილი კი ერთგვარ შეჯამებად გამოგვადგება.

ZIZI-TOP: *რა ვთქვა, ძალიან გულგატეხილი ვარ. კარგა ხანია, ნაკრების თამაშით ასე კმაყოფილი არ დავრჩენილვარ, მაგრამ... ოხ, ეს ტაბლო... ასეთი ვერაგია ეს ფეხბურთი.*

გმადლობთ, ტოპი, გმადლობთ, ბიჭებო. მე მჯერა თქვენი, ოღონდ, გევედრებით, გული არ გაიტეხოთ. ითამაშეთ ფეხბურთი და შედეგი აუცილებლად გვექნება!

WEB-ოსტატი გუარა

geo_geo_fan@hotmail.com

სათასო თარიღები

საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის მატჩების განრიგი გუშინ შემოგთავაზეთ. ახლა კი პლეი ოფებზეც ვთქვათ: პროფლიგის გადაწყვეტილებით, მეოთხედფინალის პირველი მატჩები 2007 წლის 18 თებერვალს გაიმართება, საპასუხოები — 6 მარტს. ნახევარფინალი, შესაბამისად, 17 აპრილს და 1 მაისს. ფინალი კი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს შედგება.

ლუკა თალაქვაძე

ჭამის დროს მოხსნილი ტორინო ძაკერონის ჩაბარეს

ალბერტო ძაკერონი

სერია A ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ტურინის „ტორინომ“ უკვე მოასწრო მწვრთნელის შეცვლა. „ტოროს“ თავკაცი ამიერიდან, ჯანი დე ბიაზის ნაცვლად ალბერტო ძაკერონი იქნება. ძაკერონი, რომელიც ბოლოს მილანის „ინტერს“ წვრთნიდა, ხოლო 1999 წელს „მილანთან“ ერთად სკუდეტო მოიგო, 2004 წლის მერე უმუშევარი გახლდათ.

იტალიური პრესა ბოლო დროს ავრცელებდა ინფორმაციას, რომ დე ბიაზის ტურინელთა პრეზიდენტ ურბანო კაიროსთან დაეძება ურთიერთობა. „ტორინოს“ უკვე ყოფილი მწვრთნელი კლუბის სატრანსფერო პოლიტიკითაც უკმაყოფილო იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ზაფხულს „ტორომ“ კრისტიან აბიატი, სტეფანო ფიორე და სიმონე ბარონე დაიმატა, სხვები რომ აღარ ვახსენოთ.

აღვნიშნოთ ისიც, რომ დე ბიაზი ქომაგების სიყვარულითაც არ იყო განებივრებული, ხოლო ახლახან, იტალიის თასიდან გამოთიშვის შემდეგ, იგი საერთოდ აითვალწუნეს.

არადა, დე ბიაზის დიდი დამსახურებაა, რომ გასულ სეზონში გუნდმა სერია **A**-ს საგზური მოიპოვა.

3-4-3 სისტემის მოყვარული ძაკერონი კი პრესას გუშინ საღამოს წარუდგინეს. „მილანისა“ და „ინტერის“ გარდა, იგი „ლაციოს“, „უდინეზეს“, „კოზენცასა“ და „ვიჩენცას“ წვრთნიდა.

„ჩემთვის ეს შოკი იყო, ძალიან დამწუხრებული ვარ. ჩემს თანაშემწეებთან ერთად ვსადილობდი, როდესაც კაირომ დამიძახა და მითხრა, რომ ჩემი მუშაობით უკმაყოფილოა და „ტორინოს“ მწვრთნელი აღარ ვიქნები. არადა, მასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. ვფიქრობ, კაირო „ალესანდრიასთან“ წაგებამ გააღიზიანა. მას მართლაც კარგი გუნდის გაკეთება სურს“ — თქვა დე ბიაზიმ.

ურბანო კაირო: „მივხვდი, რომ დე ბიაზი ვერ შეძლებს იმ პროექტში დახმარებას, რომელიც მე ჩავიფიქრე. მის მოხსნას არანაირი კავშირი არ აქვს ტრანსფერებთან და ჯანის მიერ გამოთქმულ უკმაყოფილებასთან. სერია **B**-ში „ტორინოს“ გაძლიერება და აღორძინება დე ბიაზისთან ერთად დავიწყე და ვწუხვარ, რომ იგი წავიდა, მაგრამ...“

გიორგი კაკაბაძე

ჩერნიგორია ფიფას ოჯახში

ფიფას განცხადებით, მიიღებენ თუ არა ჩერნიგორიას მსოფლიო საფეხბურთო ოჯახის დამოუკიდებელ წევრად, 15 სექტემბერს გაირკვევა.

ჩერნიგორიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახლავთ დეიან სავიჩევიჩი, რომელმაც ახალშექმნილი ბალკანური სახელმწიფოს ფიფაში მიღების თხოვნა ოთხშაბათს შეიტანა ციურიხის ოფისში. შეგახსენებთ, რომ ჩერნიგორია სერბეთს რეფერენდუმის შედეგად 5 ივნისს ოფიციალურად გამოეყო. რაც შეეხება სერბეთს, რომელიც ჩერნიგორიის გარეშე ასევე ახალი სახელმწიფოა, ის, როგორც ძველი ქვეყნის მემკვიდრე, ფიფას წევრად დარჩა და 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვეულებრივად მონაწილეობს.

ახლა კი დავაზუსტოთ, რა მოხდება 15 სექტემბერს. ამ დღეს, ჩერნიგორიის შესახებ იმსჯელებს — და ეჭვი არ გვეპარება, რომ დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს — ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი, თუმცა ეს ახალი ქვეყნისთვის ჯერ კიდევ არ იქნება საბოლოო შვება. იმისათვის, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ფიფას დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი წევრი გახდეს, საჭიროა, იგი აღმასკომის შემდეგ ყრილობამაც დაამტკიცოს, ოღონდ ეს მას მერე მოხდება, რაც ხსენებული ქვეყანა უეფაში დროებითი წევრის სტატუსით ორ წელიწადს მაინც გაატარებს.

პაპუნა კედია

ყბებზე მონადირე პოლიციამ მოიკითხა



ბენ ტეტჩერი

ინგლისის პოლიციამ დაადასტურა, რომ „მანჩესტერ სიტის“ მცველი ბენ ტეტჩერი, რომლის წინააღმდეგაც ერთი საქმე უკვე არის აღძრული და გამოძიებაც მიმდინარეობს — საუბარია პორტსმუთელი პედრო მენდესისთვის იდაყვის ჩარტყმაზე — მეორე გამოძიების ობიექტიც გახდა.

„სარბიელის“ მკითხველი უთუოდ მიხვდებოდა, რომ საუბარია „ბლექბერნ როვერსის“ სარეზერვო გუნდის მოთამაშეზე რალფ უელჩზე, რომელსაც ამა წლის თებერვალში ტეტჩერმა ყბა ჩაულეწა და ყმაწვილის საფეხბურთო კარიერა ახლა რისკის ქვეშაა. შეხვედრა, რომლის დროსაც ეს ამბავი მოხდა, მორკემბლში „კრისტი პარკზე“ მიმდინარეობდა.

თუ ვინმე ტეტჩერის ამბავს პირველად იგებს, ვეტყვით, რომ საუბარია საფეხბურთო ინციდენტებზე და არა ქუჩურ ხულიგნობაზე, ანუ ყველაფერი, რასაც იძიებენ, მოედანზე ბურთის თამაშის დროს მოხდა, მაგრამ როგორც ირკვევა, „მანჩესტერ სიტის“ ამ ფეხბურთელთან ბურთის გაგორება მეტად სახიფათოა და ამიტომაც მივიდა საქმე პოლიციამდე.

ტეტჩერი თვით „მანჩესტერ სიტიმ“ უკვე დასაჯა. კერძოდ, მას დააკისრეს 120 ათასი გირვანქის გადახდა და ექვსთამაშიანი დისკვალიფიკაციაც მიუსაჯეს, ოღონდ ამის მიზეზი 23 აგვისტოს ინციდენტია, როდესაც მცველმა პორტსმუთელი მენდესი გონებადაკარგული დასცა ძირს, სხვა სიტყვებით კი დაანოკაუტა. საკითხს დამოუკიდებლად იძიებს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაც, რომელიც 12 სექტემბერს ამ ყველაფერზე იმსჯელებს და გადაწყვეტილებასაც მოგვახსენებს.

პაპუნა კედია

ბავშვების ხათრით ბარსელონა მკერდით ჰატარებს ატარებს

კატალონიურმა „ბარსელონამ“ **UNICEF**-თან ისტორიულ შეთანხმებას მიაღწია. მოგეხსენებათ, „ბარსა“ ერთ-ერთია იმ უიშვიათეს კლუბებს შორის, რომლის ფეხბურთელებიც მაისურაზე სპონსორების ემბლემას არ ატარებენ. თუმცა ამ სეზონიდან ეს ტრადიცია დაირღვევა და „ნოუ კამპის“ ბინადრების ფორმას ბავშვთა დახმარების ფონდ **UNICEF**-ის ლოგო დაამშვენებს.

„ეს ისტორიული შეთანხმებაა, რაც ადასტურებს „ბარსელონას“ დევიზს — „ჩვენ უფრო მეტი ვართ, ვიდრე კლუბი“. ეს დევიზი ახლა მთელ მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდება, ჩვენ ხომ ბავშვებს დავეხმარებით. ეს წინადადება სიამოვნებით მივიღეთ. სოციალურ დონეზე ეს ოვივეა, რაც ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის მოგება. **UNICEF**-ის ლოგო მარტო საერთაშორისო ბრენდი არ არის, ეს პრესტიჟული ემბლემაა და მისი ტარება „ბარსასთვის“ დიდი ჰატივი იქნება. ეს **UNICEF**-ისთვისაც უპრეცედენტო შეთანხმებაა“ — განაცხადა კატალონიური კლუბის პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ.

კოკი კანდელაკი

უეფა გიბრალტარის ნაპირთან

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია იმედოვნებს, რომ უეფა არად ჩააგდებს გიბრალტარის თხოვნას ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ.

გიბრალტარი ერთიბეწო ტერიტორიაა ესპანეთის სამხრეთ კიდეზე, რომელიც ბრიტანეთს ეკუთვნის და კარგა ხანია უეფაში გაწევრიანებას ცდილობს.

ამჯერად, გიბრალტარისთვის მხარი დაუჭერია სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელსაც თითქოს დაურწმუნებია გიბრალტარის ფეხბურთის ასოციაცია, რომ 2007 წლის იანვრამდე ის უეფას წევრი გახდება.

ეს ყოველივე არაოფიციალურია, არბიტრაჟი ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებს.

არადამოუკიდებელი ტერიტორიებიდან უეფას წევრებად არიან შოტლანდია, უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია, ფარერის კუნძულები და რა თქმა უნდა, ინგლისი.

ესპანური ფეხბურთის მამებს მხარს უჭერს ესპანეთის მთავრობაც. 2001 წელს გიბრალტარს უარი ეთქვა უეფას წევრობაზე, ესპანეთი კი რა თქმა უნდა, ტერიტორიის კეთილი ნებით დაბრუნებას ლამობს.

1713 წლის უტრეხტის ზავიდან მოყოლებული, გიბრალტარის სრუტეს და შესაბამის კლდოვან ტერიტორიას, სადაც ბრიტანული სამხედრო ბაზაა, ბრიტანელები ფლობენ. იქ წელიწადში 7 მილიონი ტურისტი ჩადის და ხმელთაშუა ზღვაზე ყველაზე ღონიერი ნავსადგურია.

ირაკლი გამყრელიძე

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

A ჯგუფი

სკოლარის ფინეთში ერთი გაუხარდა

AFP

ფინელები რიკარდუს ხშირად აწუხებდნენ

სომხეთი 0:1 ბელგია

0:1 ვან ბუიტენი (40)

სომხეთის ნაკრების მწვრთნელის, იან პორტერფილდის დებიუტი მარცხიანი გამოდგა, თუმც მასპინძლებმა ტოლი არაფერში დაუდეს ბელგიას და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს — „ბაიერნის“ მცველმა დანიელ ვან ბუიტენმა თავური დარტყმით გაიტანა.

პირველი ტაიმის დასაწყისში სტუმრებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, ამათგან ორი, ლუიჯი პიერონიმ ვერ გამოიყენა — ორჯერვე დააყოვნა და მცველები ჩაუწვნენ მის დარტყმულ ბურთს. მე-18 წუთზე პიერონი პირისპირ გავიდა გევორქ კასპაროვთან, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა.

რაკი ფორვარდებს არაფერი გამოსდიოდათ, სტანდარტული მდგომარეობის შესრულებისას დანიელ ვან ბუიტენი რამდენჯერმე ჩავიდა მეტოქის საჯარიმოში და ერთ-ერთი ასეთი სტუმრობა გოლით დასრულდა. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე ყველას დაასწრო და თავით ზუსტად დაჰკრა. ვან ბუიტენს ასეთები „მარსელში“ თუ „ჰამბურგში“ თამაშისას („ბაიერნში“ გადასვლამდე) ოხრად გაუტანია.

მიუხედავად ამისა, სომხეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელის ხელი ეტყობოდა და გაცილებით მწყობრად და გააზრებულად თამაშობდნენ, ვიდრე ძველი მწვრთნელის ხელში. შესვენების შემდეგ ბელგიელებმა თითქმის ვერაფერი შექმნეს, სომხებმა კი ორი კარგი მომენტი ჩააფლავეს.

პოლონეთი 1:1 სერბეთი

1:0 მატუშაკი (30), 1:1 ლაზოვიჩი (71)

პოლონეთი: კოვალევსკი, იოპი, გოლიანსკი (ვასილევსკი 72), ბონკი, მ. ჟევლაკოვი, იელენი (ლაჟიკოვსკი 73), ლევანდოვსკი, რადომსკი, კრჟინოვეკი, მაციე ჟურავსკი, მატუშაკი

სერბეთი: სტოიკოვიჩი, სტეპანოვი, მარკოვიჩი, პიშევაცი, კრსტაიჩი, დულიაი (ერგიჩი 67), კოვაჩევიჩი, სტანკოვიჩი, ტრიშოვიჩი (ლაზოვიჩი 60), პანტელიჩი (კორომანი 82), ჟიგიჩი

გაფრთხილება: გოლიანსკი, ვლაჟიკოვსკი, კოვალევსკი, მარკოვიჩი, სტეპანოვი, კრსტაიჩი

მსაჯი: პოლი (ინგლისი)

ლეო ბეენჰაკერის პოლონეთმა მეორე მატჩიც ვერ მოიგო, თუმც არც წაგო პირველისგან განსხვავებით (1:3 ფინეთთან). გასულ შაბათს ფინელებთან სირცხვილნაჭამმა პოლონელებმა პირველ ტაიმში მოინდომეს, კარგადაც ითამაშეს და მატუშაკის გოლით დაწინაურდნენ. მანამდე კი გოლიანსკის შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მეკარე ვლადიმირ სტოიკოვიჩმა არ დაანება. სერბთა გოლკიპერმა მოგვიანებით იელენსაც არ გაატანინა, თუმც მატუშაკის დარტყმულს ველარაფერი მოუხერხა — ბურთი ცხრიანში შეძვრა.

მეორე ნახევრის დასაწყისშიც არა უშავდათ მასპინძლებს და იელენმა ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა, ამის მერე სერბეთი გამოცოცხლდა. დეიან სტანკოვიჩმა შორიდან დაარტყა, მეკარე კოვალევსკიმ მოიგერია, დამატებაზე კი მარკო პანტელიჩმა დაასწრო მცველებს, მაგრამ ვერ გაიტანა. თამაშის დამთავრებამდე 19 წუთით ადრე კი მსგავსი მომენტი შეიქმნა პოლონელთა კართან და ამ შემთხვევაში დამატებაზე ლაზოვიჩმა ივარგა — 1:1.

ფინეთი 1:1 პორტუგალია

1:0 იოჰანსონი (21), 1:1 ნუნუ გომეში (41)

ფინეთი: იასკილაინენი, კალიო, ჰიიპია, ტიინენი, პასანენი, კოლკა (ერიომენკო 81), ტაინიო, ვიარიანენი, ჰაიკინენი, იოჰანსონი (კუკი 63), ლიტმანენი

პორტუგალია: რიკარდუ, კოშტა, კანეირა, კარვალიუ, ვალენტე, დეკუ (ტიაგუ 85), კოშტინია, პეტიტი, ნანი (როშა 56), რონალდუ, ნუნუ გომეში (მუტინიუ 75)

გაფრთხილება: ლიტმანენი, ჰაიკინენი, ერიომენკო, კოშტა, კოშტინია

გაძევება: კოშტა (53)

მსაჯი: პლაუცი (ავსტრია)

მსოფლიოს გასული ჩემპიონატის ნახევარფინალისტმა მძიმე ბრძოლა გადაიტანა ჰელსინკიში და ლუიშ ფელიპე სკოლარი კმაყოფილი დარჩა ქულით, რადგან 53-ე წუთზე სტუმრებს რიკარდუ კოშტა გაუძევეს და ათი კაცით მოუწიათ თამაში.

მასპინძელთა მცველმა სემი ჰიიპიამ მატჩის დასაწყისში ორჯერ სცადა თავით გატანა, რაც კარგად ეხერხება, მაგრამ მეკარე რიკარდუმ ორჯერვე აჯობა. სამაგიეროდ, რიკარდუ ველარაფერს გახდა ჯონათან იოჰანსონის დარტყმულთან და ფინელები დაწინაურდნენ.

ამის მერე, დროის მოკლე მონაკვეთში კრიშტიანუ რონალდუმ ორჯერ არაზუსტად დაარტყა იასკელაინენის კარისკენ, ტაიმის მიწურულს კი დეკუმ ისეთი პასი მიაწოდა ნუნუ გომეშს, როგორიც სჩვევია და ნუნუმაც გაათანაბრა.

თავშივე ვთქვით, რომ პორტუგალია მეორე ტაიმის 53-ე წუთიდან კაცნაკლული დარჩა. კოშტას გაძევებიდან მატჩის დასრულებამდე ფინელები მეტოქის საჯარიმოში დასახლდნენ და არაერთხელ სცადეს მეორის გატანა, თუმც სკოლარის გუნდმა დაცვაში კარგად ითამაშა და ქულა წაიღო.

გიორგი დარჯანია

აზერბაიჯანი 1:1 ყაზახეთი

1:0 ლადაგა (16), 1:1 ბიაკოვი (36)

ფინეთი	2	1	1	0	4:2	4
სერბეთი	2	1	1	0	2:1	4
ბელგია	2	1	1	0	1:0	4
ყაზახეთი	2	0	2	0	1:1	2
პორტუგალია	1	0	1	0	1:1	1
აზერბაიჯანი	2	0	1	1	1:2	1
პოლონეთი	2	0	1	1	2:4	1
სომხეთი	1	0	0	1	0:1	0

C ჯგუფი

AFP

მალტა ნიჰათმა გატეხა

ცხრამეტრიანი წითელი ბარათი

სლიშკოვიჩის უნგრეთის გადაყვა

თურქეთი 2:0 მალტა

1:0 ნიჰათი (56), 2:0 მეთინი (77)

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ, საპლეიოფო მატჩში შვეიცარიელებთან ჩხუბის გამო დასჯილმა თურქეთის ნაკრებმა პირველი შეხვედრა ფრანკფურტში ითამაშა ცარიელი ტრიბუნების თანხლებით და მალტას იოლად მოუგო. სტუმართა მეკარე ჯასტინ ჰეიბერს საქმე გამოულევად ჰქონდა და ბურთს ბურთზე იგერიებდა, მაგრამ მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ნიჰათ კაჰვეჩიმ მალტელთა კარს გასაღები მოუძებნა — ჰაკან შუქურის პასით ჰეიბერს გაუტანა, მეორე გოლი კი თუმერ მეთინმა მიითვალა და ანგარიშს ოდნავ უფრო სოლიდური სახე მისცა.

ბოსნია 1:3 უნგრეთი

0:1 ჰუჟტი (36პ), 0:2 გერა (46), 0:3 დარდაი (50), 1:3 მისიმოვიჩი (64პ)

ნორვეგიასთან შინ 1:4-ის წაგების შემდეგ უნგრელებმა სტუმრად ბოსნიას მოუგეს, რომლის მწვრთნელი ბლაჟ სლიშკოვიჩი ნამატჩევს გადადგა.

სტუმართა ფორვარდმა ჰუჟტმა 25-ე წუთზე შორიდან დარტყმით ძელი შეაზანზარა, ცოტა ხნის შემდეგ კი იგი საპენალტედ სპახიჩმა წააქცია და ჰუჟტმა თერთმეტი მეტრიდან გაიტანა. პენალტიდან რამდენიმე წუთში სპახიჩი გაძევეს, რადგან საჯარიმო დარტყმისას ბურთიდან ცხრა მეტრზე გაწევა იუარა.

მეორე ნახევრის დასაწყისში ჰუჟტის ჩაწოდებულ კუთხურს გერა დაუხვდა და სხვაობა ორამდე გაზარდა, სამ წუთში კი საბოლოოდ გაირკვა, რომ უნგრელები სამ ქულას წაიღებდნენ, რადგან დარდაიმ მესამე გაიტანა. ამ მომენტში ბოსნიელი მცველი შეცდა, რადგან დარდაიმ ბურთი მოჰპარა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და ზუსტად დარტყმა არ გასჭირვებია. მასპინძლებმა მოგვიანებით პენალტით უპასუხეს მეტოქეს, რომელიც ხელით თამაშისთვის დაინიშნა უნგრელთა კარში. ბოლოს ჰუჟტს შეეძლო დუბლის გაფორმება, მაგრამ, ისევე როგორც შეხვედრის დასაწყისში, ძელს შეაწყვიტა ბურთი.

ირაკლი ნინიძე

ნორვეგია 2:0 მოლდოვა

1:0 სტრომსტადი (74), 2:0 ივერსენი (79)

ნორვეგია	2	2	0	0	6:1	6
თურქეთი	1	1	0	0	2:0	3
ბოსნია	2	1	0	1	6:5	3
საბერძნეთი	1	1	0	0	1:0	3
უნგრეთი	2	1	0	1	4:5	3
მოლდოვა	2	0	0	2	0:3	0
მალტა	2	0	0	2	2:7	0

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

D ჯგუფი

გერმანიამ სანი მარინოზე არ დატოვა

სან მარინო 0:13 გერმანია

0:1 პოდოლსკი (12), 0:2 შვაინშტაიგერი (29), 0:3 კლოზე (30), 0:4 ბალაკი (34), 0:5 პოდოლსკი (43), 0:6 კლოზე (45), 0:7 შვაინშტაიგერი (47), 0:8 პოდოლსკი (64), 0:9 პიცლშპერგერი (66), 0:10 პოდოლსკი (71), 0:11 პიცლშპერგერი (73), 0:12 ა. ფრიდრიხი (87), 0:13 შნაიდერი (89პ)

სან მარინო: სიმონჩინი, ვალენტინი, ვანუკი (სიმონჩინი 68), ალბანი, დელა ვალე, დაკიოკი, პალაცი, მარანი (მასი 78), დომენჩინი (ბონინი 46), მარანი, სელვა

